საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი
GEORGIA
Mayor of Kutaisi Municipality

N 01/22642
17/10/2018

22642-01-2-201810171726

მოქალაქე მაია ლანჩავას
მის. ქალაქი ქუთაისი, შმიდტის ქუჩა N39

ქალბატონო მაია,

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 22 აგვისტოს N1879 ბრძანებით გამოცხადებული იქნა ელექტრონული აუქციონი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების /მიწის ნაკვეთის/ პრივატიზებისათვის, რომელიც ჩატარდა მ/წლის 07 სექტემბერს და თქვენ გამოვლინდით გამარჯვებულად /აუქციონის ნომერი 18; განაცხადის ნომერი 18FBP118; ლოტი N1/, ქალაქ ქუთაისში, ბუკიას ქუჩა N7-ის დასავლეთით მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ფართობი-112.0 კვ.მ /საკადასტრო კოდი N03.01.24.518/, ნასყიდობის საბოლოო ფასმა შეადგინა 34928.0/ოცდათოთხმეტი ათას ცხრაას ოცდარვა/ ლარი. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი N34 /07.09.2018წ./ თანახმად, ვალდებული იყავით აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო ფასის დარჩენილი თანხა 33450.0 /ოცდაცამეტი ათას ოთხას ორმოცდაათი/ ლარი სრულად გადაგეხადათ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმში N31 /31.08.2018წ./ მითითებულ საბანკო ანგარიშზე. დაწესებულ ვადაში თქვენს მიერ არ იქნა გადახდილი აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო ფასის დარჩენილი თანხა 33450.0 /ოცდაცამეტი ათას ოთხას ორმოცდაათი/ ლარი. აღსანიშნავია, რომ აუქციონის დასრულების შემდგომ, თქვენ არ გამოცხადდით ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში ოქმის მისაღებად და ნასყიდობის ხელშეკრულების გასაფორმებლად. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის N65 „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, ანგარიშსწორებისა და მუნიციპალიტეტის ქონების ტოლფასი ქონების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ფიზიკური ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების საკუთრებაში გადაცემის დამატებითი წესებისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ დადგენილების მე-12 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „თუ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი უპირობო ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებისას, დადგენილ ვადებში არ გადაიხდის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების სრულ ღირებულებას, მას არ [illegible] საკუთრების უფლება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონებაზე, ბე/[illegible]

3 Rustaveli ave. Kutaisi. 4600, Georgia
Tel/Fax (+995431) 245454; Fax: (+995431) 246962
www.Kutaisi.gov.ge; interrelations@Kutaisi.gov.ge

4600, [illegible] № 3
[illegible] (+995431) 245454; [illegible] (+995431) 246962

საბანკო გარანტია არ დაუბრუნდება და გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება“. ამავე მუხლის მეექვსე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად გაცნობებთ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, გეკისრებათ პირგასამტეხლო გადაუხდელი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების, სრული ღირებულების 0.1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლო შეადგენს ქონების საბოლოო ფასის 0,1 %-ს, დარღვევის დღიდან /2018 წლის 08 ოქტომბრიდან/ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო ფასის დარჩენილი თანხის 33450,0 /ოცდაცამეტი ათას ოთხას ორმოცდაათი/ ლარი და პირგასამტეხლოს-33,50/ოცდაცამეტი ლარი 50 თეთრი/ ლარი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადახდა უნდა მოახდინოთ 5 /ხუთი/ კალენდარული დღის ვადაში. თუ თქვენს მიერ დაწესებულ ვადაში არ მოხდება ოქმითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება, რომელიც ჩაითვლება განმეორებითი შეუსრულებლობის შემთხვევად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განიხილება ელექტრონული აუქციონის შედეგების /ოქმის/ გაუქმების საფუძვლად.

აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო ფასის დარჩენილი თანხა 33450.0 /ოცდაცამეტი ათას ოთხას ორმოცდაათი/ ლარი უნდა გადაიხადოთ შემდეგ საბანკო ანგარიშზე

მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში ანგარიშის ნომერი - 200122900

მიმღები - სახელმწიფო ხაზინა

მიმღები ბანკის კოდი - TRESGE22

საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 300183390;

გადახდის დანიშნულება-შემოსულობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვიდან.

ხოლო პირგასამტეხლოს გადახდა უნდა მოახდინოთ შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში ანგარიშის ნომერი - 200122900

მიმღები - სახელმწიფო ხაზინა მიმღები

ბანკის კოდი - TRESGE22

საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი - 300183270

გადახდის დანიშნულება - შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (პირგასამტეხლო, ჯარიმები და საურავები)

პატივისცემით,
იუზა უგულავა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

3 Rus
Tel/Fa
www.k